2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯასკო“

შინაარსი:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

3.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

4. ძირითადი საშუალებები

5.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

6.სავაჭრო მოთხოვნები

7.სავაჭრო ვალდებულებები

8. საკუთარი კაპიტალი

9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

10.უცხოური ვალუტის გადაფასება

11.საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
შპს "ჯასკო"

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	899,151	663,317	499,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	88,589	126,857	54,571
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	360,836	430,589	524,683
მზა პროდუქცია	360,836	430,589	524,683
სხვა	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	32,199	10,052	5083
ძირითადი საშუალებები	26,923	38,321	49,783
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1,407,698	1,269,136	1,134,097
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	5,963
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
საიჯარო ვალდებულებები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	0	0	5,963
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,407,698	1,269,136	1,128,134
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1,407,698	1,269,136	1,128,134
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,407,698	1,269,136	1,084,314
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,380,797	130,815	1,084,314
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	5,963

დირექტორი:

ი.ჯანელიძე

ი.ჯანელიძე

GEORGIA "JASKO" LTD 205261134

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

შპს „ჯასკო“

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	8,170,290	8,310,845
საქონლის გაყიდვიდან	8,170,290	8,310,845
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-7,449,859	-7,592,438
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	720,431	718,407
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-536,125	-487,970
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-11,398	-11,462
იჯარის ხარჯი	-40,881	-40,881
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-68,762	-85,498
სულ საოპერაციო ხარჯები	-657,166	-625,811
საოპერაციო მოგება	-63,265	-92,596
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	30258	2861
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	45,039	45,545
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	138,562	141,002
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	138,562	141,002
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,269,136	1,128,134
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,407,698	1,269,136

დირექტორი:

ი. ჯანელიძე

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა

შპს „ჯასკო“

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2024**	**31/12/2023**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	235,834	163,340
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	235,834	163,340
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	663,317	499,977
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	899,151	663,317

დირექტორი:

ი. ჯანელიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება შპს „ჯასკო“ რეგისტრირებულია “მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2008 წლის 5 აგვისტოს.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია განახორციელა ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურის ვაკე-საბურთალოს რეგიონალურმა განყოფილებამ და მიანიჭა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 205261134.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია იოსებ ჯანელიძე (პ/ნ 01019019842)

საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი.

მისამართი: ქ. თბილისი , დიდუბის რაიონი, სპირიდონ კედიას ქ. N15

შპს-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა “ორის მენეჯერის” გამოყენებით.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ბალანსის შედგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, თანხა რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება და თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით ანუ პირვანდელი ღირებულებით. ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება პირვანდელი ღირებულებიდან ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ცვეთის თანხა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, თითოეული დასახელების მიხედვით. ძირითადი საშუალებების ცვეთადი თანხა განისაზღვრება ნარჩენი ღირებულების გარეშე(ან ნარჩენით ღირებულებით) მცირე ღირებულების (არაარსებითი) შეძენილი აქტივები მიჩნეულია მცირეფასიან საგნებად და აღირიცხება მარაგის სახით.

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შეძენილი საქონელი შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება როგორც დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მოცემულ ადგილსამყოფელამდე მისი ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად (შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული დანახარჯების ჩათვლით). სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

6. სავაჭრო მოთხოვნები

საქონლის და მომსახურების გაყიდვა ხორციელდება ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე % დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასება, რათა განისაზღვროს,

ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება.

ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

8. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან. საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება),მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

9.დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად. შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვროს 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი -30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

10. უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

11. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს “ჯასკოს”-ს დირექტორი

იოსებ ჯანელიძე

_____

თარიღი: 27/09/2025